USAID ამერიკელი ხალხისგან
PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE
ctc Empowering People for Change
№1
2015

საინფორმაციო ბიულეტენი სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმისათვის

გამოიცემა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში

ძვირფასო პედაგოგებო, ფორუმის წევრებო!

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი გთავაზობთ პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენის პირველ ნომერს, რომელიც გაგაცნობთ ფორუმის მუშაობის ნახევარი წლის გეგმებსა და შედეგებს პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში.

ბიულეტენი გამოიცემა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH international კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან CTC და 11 რეგიონულ ორგანიზაციასთან ერთად – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ნომერშია:

ინტერვიუ პროგრამის „მომავლის თაობა“ დირექტორთან მარინა უშვერიძესთან
გვ. 2

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის აღმასრულებელი დირექტორის მაკა ბიბილეიშვილის ინფორმაცია
გვ. 4

ინტერვიუ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის გამგეობის თავმჯდომარესთან ნინო ბესელიასთან
გვ. 6

ნომრის სტუმარია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის ექსპერტი ნიკოლოზ სილაგაძე
გვ. 8

„წლის საუკეთესო პედაგოგი“ – პროფესიული კონკურსი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის.
გვ. 10

გთავაზობთ ინტერვიუს **სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ დირექტორთან მარინა უშვერიძესთან,** რომელიც ახალი პროგრამის მიზნებსა და მიმდინარეობაზე მოგვითხრობს;

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი „მომავლის თაობის“ ფარგლებში პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და ადვოკატორების კამპანიის აქტივობებს უზრუნველყოფს, რომელთაც **ფორუმის აღმასრულებელი დირექტორი მაკა ბიბილეიშვილი** გაგვაცნობს;

პროგრამის პარტნიორი 480 სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის ა/წლის თებერვალში **პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ტრენინგ-პროგრამა „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“** დაიწყო. გვესაუბრება **სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის გამგეობის თავმჯდომარე ნინო ბესელია**;

„ნომრის სტუმარი“ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის ექსპერტი ნიკოლოზ სილაგაძე** სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და აქტიური მოქალაქის აღზრდის საქმეში საგნის სწავლების უპირატესობებზე საუბრობს;

გრძელდება **პროფესიული კონკურსი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის**, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ძველ, ისე ახალ პროგრამაში ჩართულ პედაგოგებს. ასე, რომ იჩქარეთ! დროულად შეავსეთ და გამოგვიგზავნეთ კონკურსის განაცხადი. **„წლის საუკეთესო პედაგოგის“ ტიტულის მოსაპოვებლად გისურვებთ წარმატებებს!**

ტრადიციული ინტერვიუ

მკითხველისათვის ცნობილია, რომ „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ წარმატებით დასრულების შემდეგ მისი შედეგებისა და მიღწევების გათვალისწინებით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) საქართველოს სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების გაუმჯობესებისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კიდევ ერთი პროექტი დააფინანსა. პროექტს „მომავლის თაობა“ ჰქვია და მას კვლავაც PH-international-ი განახორციელებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან ერთად. ჩვენი ტრადიციული რუბრიკაც პროექტის სიახლეების შესახებ ახლა უკვე „მომავლის თაობის“ ფარგლებში გრძელდება და გთავაზობთ ინტერვიუს პროგრამის დირექტორთან ქალბატონ მარინა უშვერიძესთან:

მოგესალმებით, ქალბატონო მარინა და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ტრადიციული საუბრები კვლავაც გრძელდება. თუ შეიძლება, გვიამბეთ ახალი პროექტის შესახებ, გაგვაცანით მისი მიზნები, აქტივობები, ვადები, ბენეფიციარები და ახალი პარტნიორი, რომელიც მის განხორციელებაში ამჯერად მონაწილეობს...

მოგესალმებით და სიამოვნებით გიამბობთ სამოქალაქო განათლების ახალი პროგრამის „მომავლის თაობა“ შესახებ. პროგრამა სკოლებში სამოქალაქო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და შედეგად კი, ქვეყანაში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. სამოქალაქო განათლება, როგორც ყველას კარგად მოგეხსენებათ, ისეთ ღირებულებებს გულისხმობს, რომლებიც ადამიანმა სასკოლო და სკოლამდელ ასაკამდე უნდა გაითავისოს და არა მას შემდეგ, რაც იგი უკვე პიროვნებად ჩამოყალიბდება. სწორედ ამიტომ ჰქვია ჩვენს პროგრამას „მომავლის თაობა“. ის მარცვალი, რაც ამ მიმართულებით დღეს მოსწავლეებში ჩაიდება, ხვალ აუცილებლად მოგვცემს შედეგს. საუბარია სკოლებში ამ საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობაზე, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, უკეთესი სასწავლო რესურსებისა და მრავალი ისეთი შესაძლებლობის შექმნაზე, რომ მოსწავლეებმა პრაქტიკაში, თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლონ სამოქალაქო განათლების კუთხით მიღებული ცოდნის გამოყენება.

პროგრამა საქართველოს მასშტაბით 480 სკოლასთან იმუშავებს, მათ შორის, სომხური და აზერბაიჯანული სექტორის სკოლებთანაც. იგი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

ჩვენი ახალი პარტნიორია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი. ეს ორგანიზაცია დღეისათვის ასობით სამოქალაქო განათლების პედაგოგს აერთიანებს. ჩვენ ხელს შევუწყობთ ფორუმს, რათა მან შექმნას მრავალი შესაძლებლობა სამოქალაქო განათლების პედაგოგების პროფესიული განვითარებისათვის. ამ მიმართულებით იგეგმება ტრენინგები, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა წლიური ეროვნული კონფერენცია, საუკეთესო პედაგოგების გამოვლენა და დაჯილდოვება, ღია გაკვეთილები, მრგვალი მაგიდები, „კრიტიკული მეგობრის ჯგუფები“, რაც კოლეგებს პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და სიახლეების ათვისების შესაძლებლობას მისცემს. ფორუმს საქართველოს ყველა რეგიონში ჰყავს რეგიონული კოორდინატორი, რომელიც რეგიონში ღონისძიებების ორგანიზებას ახდენს.

უნდა მივიჩნიოთ თუ არა ეს პროექტი „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ ერთგვარ გაგრძელებად? რა მემკვიდრეობა მიიღო მან წინა პროექტიდან და რა სიახლეებია გათვალისწინებული „მომავლის თაობაში“?

„მომავლის თაობა“ „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“

პირდაპირი გაგრძელება არ გახლავთ, თუმცა მისი საქმიანობა დაფუძნებულია წინა პროგრამის წარმატებასა და შედეგებზე. ის მიდგომები, რომლებმაც განსაკუთრებით კარგი შედეგები მოგვცა, მაგალითად, მოსწავლეებისთვის სამოქალაქო განათლების საკითხების პროექტების მეშვეობით სწავლება, ამისათვის რესურსებისა და კონკრეტული შესაძლებლობების შექმნა, ახალ პროგრამაშიც ფართოდ გვაქვს გამოყენებული. სასკოლო სამოქალაქო კლუბები ერთ-ერთი ასეთი წარმატებაა. კლუბებში ბევრმა მოსწავლემ ახალი კუთხით დაინახა საკუთარი შესაძლებლობები და გააცნობიერა, რომ საერთო, საზოგადოებისთვის საჭირო საქმისთვის უსასყიდლოდ შრომა არა მხოლოდ თითოეული ჩვენგანის ვალია, არამედ ადამიანს თვითგანვითარებაში ეხმარება. გამომდინარე იქიდან, რომ სასკოლო სამოქალაქო კლუბებში კლასიდან ყველა მოსწავლე შესაძლოა არ გაერთანდეს, ჩვენ ახალი პროგრამის ფარგლებში სკოლების ნაწილში დავნერგავთ საკლასო პროექტებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სკოლაში მთელი კლასი ჩართული იქნება მათივე მიერ შერჩეული პროექტის განხორციელებაში. ეს მოგვცემს საშუალებას, პროცესის მიღმა არ დარჩეს არცერთი მოსწავლე.

ახლა მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალებზე, რომლებსაც პროგრამაში ჩართული სკოლები ამ გაზაფხულზე მიიღებენ. დაიწყო სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადება ტრენინგ კურსის „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ მეშვეობით. აღნიშნულ ტრენინგთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს პროგრამა „მომავლის თაობა“ უზრუნველყოფს.

ასევე ვაპირებთ საერთაშორისო ექსპერტის მოწვევას, რომელიც რჩევებითა და რეკომენდაციებით დაეხმარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამოქალაქო განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის პროცესში. აქცენტი გაკეთდება იმაზე, თუ როგორ დაუახლოვდეს ეროვნული სასწავლო გეგმა საკლასო ოთახს, რათა გეგმით გათვალისწინებული აქტივობები პრაქტიკაში მაქსიმალურად იქნეს გადატანილი.

გვსურს, ხელი შევუწყოთ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს განვითარებაში და მის მუშაობას ყველა დონეზე, რათა პედაგოგებმა თავად შეძლონ აქტიური მონაწილეობის მიღება სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მიაწოდონ რეკომენდაციები გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

„სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ დაწყებისას სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების საკითხი და მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმ რეალობისგან, რომელშიც დღეს გიწევთ ახალ პროექტზე მუშაობა. რას ნიშნავს ეს თქვენთვის და სამომავლო შედეგებისთვის?

ვფიქრობ, ამ მხრივ დღეს უკეთესი მდგომარეობაა და ფუჭად ნამდვილად არ ჩაუვლია განვლილ 4, 5 წელიწადს. დღეს გაცილებით უფრო მაღალია ინტერესი სამოქალაქო განათლების მიმართ, ვიდრე ეს 2010 წელს იყო, თავად პედაგოგებს გაცილებით უფრო მეტად აინტერესებთ საკუთარი პროფესიული განვითარება, ბევრმა მათგანმა კარგად გაითავისა საგნის მნიშვნელობა და დანიშნულება, რამაც დადებითად იმოქმედა მოტივაციაზე. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც უფრო მეტად უჭერენ მხარს პედაგოგებს ახალ წამოწყებებში, ადრე ამ მხრივ მეტად პრობლემური იყო სიტუაცია. ამ მიმართულებით მუშაობამ ბევრი ისეთი შედეგი მოიტანა, რომელიც ხილულია – მოსწავლეებმა არაერთი ადგილობრივი პრობლემის მოგვარებაში მიიღეს მონაწილეობა, დაიწყეს დიალოგი ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მონაწილეობდნენ აქციებში, თანატოლთა განათლების კამპანიებში, მათი მონაწილეობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყურადღება მიექცა ისეთ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი ახალგაზრდებისა თუ მოსახლეობისათვის. მაგალითად, საფეხმავლო ხიდის შეკეთება, გარემოს გამწვანება, სოფლის ტერიტორიაზე ნაგვის ურნების დადგმა, სპორტული დარბაზის მოსაწყობად თანხის გამოყოფა და სხვა.

სამოქალაქო განათლების, როგორც საგნის როლი და პრესტიჟი ბოლო წლებში იმდენად ამაღლდა, რომ დღეს იგი ეროვნულ გამოცდებზეა დაშვებული ერთ-ერთ მისაღებ საგნად.

თვლით, რომ ამაში გარკვეული წვლილი ამ წლების მანძილზე გაწეულ შრომასაც მიუძღვის და რა სიკეთის შემცველია ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის?

საზოგადოებისთვის სასარგებლო ის იქნება, თუ ადამიანები კარგად გაითავისებენ საკუთარ უფლებებსა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. ეს ყველაფერი კი, უპირველეს ყოვლისა, ქმედებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰპოვებს ასახვას და შედეგს. სამოქალაქო განათლების მიმართ ინტერესის ზრდა იმდენად მახარებს, რამდენადაც ეს უშუალოდ ქვეყანაში კარგი მოქალაქეობრივი ღირებულებების მქონე მომავალი თაობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. აქ კი ძალიან მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ სამოქალაქო განათლების ხარისხის გაძლიერებას საქართველოს სკოლებში. თუ საგნის სწავლება ჯეროვანი ხარისხით არ განხორციელდა, მაშინ სასურველ შედეგსაც ვერ მივიღებთ. სწორედ ამისკენ არის მიმართული ჩვენი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა.

რას უსურვებთ ახალი პროექტის მონაწილეებსა და შემსრულებლებს?

პროგრამაში ჩართულ სკოლებს ვუსურვებ, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი ყველა რესურსი. ეს ძალიან სასარგებლო იქნება როგორც მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის, ასევე თავად სკოლებისთვის. ამისათვის კი ისინი ჩვენი პროგრამის რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციებს უნდა დაუკავშირდნენ.

ასეთი გამოცდილება წინა პროგრამის ბევრ მონაწილე სკოლას დაუგროვდა და ახლა მათ უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ პარტნიორების მოძიება, სკოლისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო პროექტების განხორციელება. აღნიშნული ხელს უწყობს კავშირების დამყარებას სკოლასა და საზოგადოებას შორის, მოსწავლეთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას, რაც არის განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი „მომავლის თაობისათვის“

როგორც ცნობილია, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით PH international-მა, რომელსაც „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში უკვე მნიშვნელოვანი გამოცდილება დაუგროვდა, ახალი პროექტი წამოიწყო. პროექტს „მომავლის თაობა“ ჰქვია და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან CTC, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და 11 რეგიონულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ხორციელდება. ახალი პროგრამა საქართველოს 480 სკოლასთან იმუშავებს და ამ სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. პროგრამის პარტნიორი სკოლები უსასყიდლოდ მიიღებენ სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოებს და პროექტის ფარგლებში მოხდება სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა გადამზადება. პედაგოგები მონაწილეობას მიიღებენ ღია გაკვეთილებსა და მრგვალ მაგიდებში, ეროვნულ კონფერენციებში, ხოლო პროგრამის მონაწილე სკოლები – დაფინანსებას მცირე საგრანტო პროექტებისათვის, ასევე სხვადასხვა რესურსებს პედაგოგთა და მოსწავლეთა მიერ სკოლისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო ინიციატივების განსახორციელებლად.

სამოქალაქო განათლების ხელშემწყობ პროგრამაში პარტნიორი ორგანიზაციები გარკვეული სამოქმედო გეგმით მონაწილეობენ, რომელიც მათზე განპირობებულ მოვალეობებსა და ღონისძიებებს მოიცავს. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი უზრუნველყოფს პროფესიული ასოციაციის სტაბილურ საორგანიზაციო განვითარებას, სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის პროფესიული ზრდის ხელშემწყობი მომსახურების მიწოდებას და სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან პოლიტიკის შესახებ დიალოგების პროცესში ჩართვას. პროგრამის ფარგლებში პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და ადვოკატორების კამპანიისთვის გამიზნული ღონისძიებები და აქტივობები ასახულია ფორუმის წლიურ სამოქმედო გეგმაშიც, რომელსაც **სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის აღმასრულებელი დირექტორი მაკა ბიბილეიშვილი** გაგვაცნობს:

პროგრამა „მომავლის თაობის“ ფარგლებში სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წვლილი სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციების შესაძლებლობათა გათვალისწინებით სამოქალაქო განათლების გაძლიერებაა, რასაც იგი PH international-თან და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან CTC ერთად სხვადასხვა სერვისების სახით განახორციელებს. ეს სერვისებია: ღია გაკვეთილები, მრგვალი მაგიდები, კრიტიკული მეგობრების ჯგუფი, ეროვნული კონფერენცია, ფორუმის პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი და სხვა, რაც პროგრამის მონაწილეთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდასა და განვითარებას ემსახურება. ღონისძიებები განხორციელდება გარკვეული სქემითა და განსაზღვრულ ვადებში და ქვეყნის თერთმეტივე რეგიონს მოიცავს. მიმდინარე წლის მარტში ჩატარდება „მრგვალი მაგიდები“ თემით – ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოსალოდნელი ცვლილებები სამოქალაქო განათლებასთან მიმართებაში. შეხვედრებს მოწვეული ექსპერტები გაუძღვებიან. გაიმართება დისკუსია და შემუშავდება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასურველი იქნება ესგ-ის რევიზიის პროცესში.

აპრილში ფორუმი ორგანიზებას გაუწევს 11 ღია გაკვეთილის ჩატარებას რეგიონებში. ღია გაკვეთილები ნებაყოფლობითია, მათ გაუძღვებიან პედაგოგები, რომლებიც თავად გამოთქვამენ ამის სურვილს. ისინი თვითონ შეარჩევენ გაკვეთილის თემატიკას და წინასწარ შეუთანხმებენ ღია გაკვეთილების ორგანიზებაზე პასუხისმგებელ ფორუმის რეგიონულ კოორდინატორებს. აღსანიშნავია, რომ გაკვეთილების ჩატარებამდე პედაგოგები გადიან ტრენინგ-პროგრამას „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“, რომელსაც ორგანიზებას კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი CTC უწევს. ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და პროგრამის ფარგლებში მიწოდებული ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებს დაეხმარება უკეთ დაგეგმონ და განახორციელონ საგაკვეთილო პროცესი და თავიანთი გამოცდილება ღია გაკვეთილების საშუალებით გაუზიარონ დამსწრე კოლეგებს. გაკვეთილის შემდეგ შედგება დისკუსია, მასწავლებლები და მოწვეული ექსპერტები განიხილავენ და შეაფასებენ გაკვეთილს. დისკუსიაზე გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები კი შემდგომ საქმიანობაში წაადგებათ მასწავლებლებს.

რაც შეეხება კრიტიკული მეგობრების ჯგუფს, ეს არის ნოვაცია ქართულ სკოლებში და პროფესიული ზრდისა და დამატებითი ცოდნის მისაღებად სამოქალაქო განათლების მასწავლებლების კოლაბორაციას და სტრუქტურიზებულ ინტეგრაციას ემსახურება. კრიტიკული მეგობრების ჯგუფი ერთმანეთის მიმართ ნდობას უძლიერებს პედაგოგებს და უკუკავშირის ეფექტურად მიღებისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების მოძიების ხელშემწყობ გარემოს ქმნის. ჯგუფი 7-10 წევრისაგან შედგება, რომელთაც სადისკუსიო საკითხების განსაზღვრა ევალებათ და დაკომპლექტებულია პრობლემის განმსაზღვრელებით, პრეზენტატორებით და დისკუსიის მონაწილეებით. ჯგუფების ორგანიზებასა და პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი ამ შემთხვევაშიც ფორუმის კოორდინატორები არიან და ფორუმის საბჭოსთან შეთანხმებით მოქმედებენ. კრიტიკული მეგობრების ჯგუფის ფორმირება მიმდინარე წლის აპრილ-მაისშია დაგეგმილი და ყველა რეგიონში ორ-ორი იქნება. ჯგუფების მონაწილე პედაგოგები ერთმანეთის პრობლემებზე იმსჯელებენ, არსებულ საკითხში საკუთარ გამოცდილებასა და

რჩევებს გაუზიარებენ ერთმანეთს და ერთად მოიძიებენ გამოსავლის გზებსაც. ჯგუფების მუშაობას ფასილიტაციას რეგიონული კოორდინატორები გაუწევენ, რომლებიც საამისოდ გადამზადებას CTC-ს სპეციალურ ტრენინგზე გაივლიან 6, 7 და 8 მარტს.

დაბოლოს, პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა ყოველწლიური ეროვნული კონფერენცია, რომელიც თავს უყრის სამოქალაქო განათლების ასობით პედაგოგს, მთავრობის წარმომადგენლებს, დონორებს, სფეროს ექსპერტებს და გაწეული მუშაობის შედეგებს აჯამებს. კონფერენციის ორგანიზება მომავალი წლიდან მთლიანად ფორუმის ვალდებულება იქნება, ამიტომ წლევანდელი კონფერენციის დაგეგმვაში მონაწილეობა ჩვენი ინსტიტუციური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კონფერენცია 2015 წლის მაისში ჩატარდება.

ეს არის ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომელთაც „მომავლის თაობის“ ფარგლებში სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წლევანდელი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს. მათ განხორციელებას, როგორც ვთქვით, წინ უძღვის პროფესიული განვითარების სპეციალური ტრენინგ-პროგრამა „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“, რომელიც თებერვალში დაიწყო და პროფესიული ზრდის გარდა პროგრამის მონაწილეთა გაცნობა-დაახლოებასაც ისახავს მიზნად. პროგრამის პარტნიორი 480 სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლები ერთმანეთის შესაძლებლობებისა და გამოცდილების გარდა, იმ მიღწევებსა და სერვისებსაც გაიზიარებენ, რომელიც სამოქალაქო განათლების სფეროში დაგროვდა და ამჯერად უკვე ახალი პროგრამის მონაწილეთა პროფესიულ ზრდას წაადგება.

ტრენინგ-პროგრამა „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ დაიწყო

პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში 480 სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის მიმდინარე წლის თებერვალში ტრენინგ-პროგრამა „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ დაიწყო. ტრენინგის მიზნებსა და მიმდინარეობაზე გვესაუბრება სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის გამგეობის თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბესელია:

სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის CTC-ს ექსპერტების მიერ სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში შემუშავდა. მისი მიზანი სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა და სამოქალაქო განათლების საჭიროებებს ითვალისწინებს. პროგრამა ოთხი სატრენინგო დღისგან შედგება. თითოეული დღის ხანგრძლივობა ექვსი სამუშაო საათია. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს, რომელთა რიცხვიც ჯგუფში 24 მსმენელს არ აღემატება, შემაჯამებელი სასერტიფიკაციო დავალების შესასრულებლად ერთი თვე ეძლევათ.

პროგრამა ხუთი ძირითადი თემისგან შედგება: **1. სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა და სკოლის როლი; 2. მოქალაქეობის განმავითარებელი სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება; 3. ინტერაქტიული სწავლება; 4. სამოქალაქო მონაწილეობა და პროექტული სწავლება; 5. შეფასება**. პროგრამის საერთო მოცულობაა 50 საათი, საიდანაც 24 საათი საკონტაქტოა

(ტრენინგებზე დასწრება), ხოლო 26 საათი არასაკონტაქტო – საშინაო და სასერტიფიკაციო დავალებების შესასრულებლად.

ტრენინგის მონაწილენი თავდაპირველად სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების მნიშვნელობას აანალიზებენ, ეცნობიან სამოქალაქო განათლების მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტებს (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი). ეს მათ სამოქალაქო განათლებაში სკოლის როლის გააზრებაში დაეხმარება, უკეთ გააცნობიერებენ სასკოლო პროცესებში მოსწავლეთა ჩართულობის მნიშვნელობას, ისწავლიან ამ ჩართულობისთვის კონკრეტული გზების დაგეგმვას; შემდეგ (მეორე თემის ფარგლებში) მასწავლებლები საკუთარი საჭიროებების გაანალიზებას შეეცდებიან, თვითგანვითარებისთვის დღეს არსებულ რესურსებსა და მათი შერჩევის კონკრეტულ გზებს გაეცნობიან; შემდეგ კი ინტერაქტიული სწავლების მეთოდებზე (მესამე თემა) გადავლენ და სამოქალაქო განათლებაში მათ მნიშვნელობაზე იმსჯელებენ. ისწავლიან ინტერაქტიული მეთოდიკის საგაკვეთილო პროცესში ეფექტიან გამოყენებას და საგაკვეთილო გეგმების შედგენას; მეოთხე თემაში დეტალურადაა განხილული მონაწილეობაზე დაფუძნებული სწავლების არსი. მის ფარგლებში მსმენელები მონაწილეობასთან დაკავშირებულ თეორიულ მასალას გაეცნობიან, აითვისებენ მონაწილეობითი პროცესის დაგეგმვის და განხორციელების შესახებ ცოდნას, ისწავლიან კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენებას და სასწავლო პროცესში

მათ ჩართვას. ამ თემის მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე – სკოლებში მოსწავლეთა ჩართულობის პროცესების იდენტიფიცირება და ანალიზი, მაგალითად: სასკოლო სასწავლო გეგმის და შინაგანაწესის შემუშავება, მოსწავლეთა კლუბების შექმნა, მოსწავლეთა თვითმმართველობის და სამეურვეო საბჭოს არჩევნები; დაბოლოს, მეხუთე – შეფასების თემა უმნიშვნელოვანეს გამოწვევას – მოსწავლეთა უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეფასებას ეხება. ტრენინგის მონაწილენი სამოქალაქო განათლებაში მოსწავლეთა შეფასების მეთოდებსა და სირთულეებს მიმოიხილავენ, მოახდენენ მოსწავლეთა საკვანძო კომპეტენციებისა და მათი შეფასების მეთოდების იდენტიფიცირებას, გაეცნობიან შეფასების ძირითად ტიპებსა და ინსტრუმენტებს. ტრენინგზე მსმენელები კონკრეტული დავალებების შესაფასებლად რუბრიკების შექმნასა და გამოყენებაში ივარჯიშებენ. ამავე თემის ფარგლებში აითვისებენ სასწავლო პროექტების შეფასებასაც.

ეს ის ძირითადი კომპეტენციები და უნარ-ჩვევებია, რომელთა დაუფლება მნიშვნელოვნად წაადგება სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიულ დონესა და შესაძლებლობებს. სატრენინგო პროგრამის დასარულების შემდეგ მოხდება ტრენინგზე ათვისებული ცოდნის შეფასება. შეფასების ძირითადი კრიტერიუმები იქნება: **ტრენინგებზე დასწრება, პრე-ტესტი და პოსტ-ტესტი**, რომლებიც კითხვარების საშუალებით მასწავლებელთა მიერ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას წარმოაჩენს და **სასერტიფიკაციო დავალება**. თითოეული ეს კრიტერიუმი ქულათა გარკვეული რაოდენობით განისაზღვრება, მათი ჯამი კი სერტიფიკატის ხარისხს განსაზღვრავს.

უმაღლესი ქულის მფლობელები პროგრამის წარჩინებით დასრულების სერტიფიკატს მიიღებენ.

„დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ საკმაოდ სპეციფიური და მოცულობითი ტრენინგ-პროგრამაა, რომელიც გაჯერებულია როგორც თეორიული მასალით, ისე პრაქტიკული სავარჯიშოებითა და ინტერაქტიული მეთოდებით. ვინ ატარებს მათ და რატომ არის მნიშვნელოვანი მისი გავლა პროგრამის ყველა მონაწილისთვის?

გეთანხმებით, პროფესიული თვალსაზრისით მართლაც საინტერესო და დატვირთული კურსია როგორც შინაარსობრივად, ისე სწავლების ფორმებითა და მეთოდებით. ჩემთან ერთად მას ჩემი კოლეგები – კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის CTC-ს გამოცდილი ტრენერები უძღვებიან, კერძოდ, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წევრები: **მაკა ბიბილეიშვილი, ნათია ნამიჭეიშვილი, ლელა წურწუმია, ნონა ფიფია,** ასევე ქალბატონები: **ცირა თავშავაძე, თეა ლობჟანიძე, ელმირა ქსპოიანი და გიზხანუმ ახმედოვა**. ქალბატონი ელმირა სომხურენოვანი, ხოლო ქალბატონი გიზხანუმ – აზერბაიჯანული სკოლების წარმომადგენლებთან მუშაობენ. ტრენინგების წარმართვაში მათ ასისტენტები – ფორუმის კოორდინატორები ეხმარებიან: **მადლენა შველიძე, ნინო დოლიშვილი, ზეინაბ კაკალაშვილი, ვლადიმერ აფხაზავა, ლიანა ღულუნიშვილი, სოფიო მურუსიძე, მაგდალინა თოდუა;** ასევე სამოქალაქო განათლების პედაგოგები: **ნანა თავართქილაძე, ნინო ნემსიწვერიძე და მაგული სეხნიაშვილი.** მათთვის ეს სატრენერო გამოცდილების და პრაქტიკის მიღების საუკეთესო შესაძლებლობაა, ხოლო სამოქალაქო განათლების სფეროსთვის – ტრენერთა ახალი კადრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ტრენინგები სხვადასხვა ქალაქებში ტარდება და მას მიმდინარე წლის თებერვალ-მარტ-აპრილში „მომავლის თაობის“ ყველა მონაწილე გაივლის. პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ახალი თეორიული ცოდნის შეძენასთან ერთად, ისინი უკეთ გაეცნობიან და დაუახლოვდებიან ერთმანეთს, გაიზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას და მასთან ერთად იმ მიღწევებსა და სერვისებს, რაც ბოლო წლებში სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების სფეროში დაგროვდა. ეს კი მათ პროფესიულ ზრდასა და ახალი პროგრამის წარმატებით განხორციელებას შეუწყობს ხელს.

ნომრის სტუმარი

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და აქტიური მოქალაქის აღზრდის საქმეში სკოლის და სამოქალაქო განათლების, როგორც საგნის როლი ცალსახა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუმცა მის სწავლებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის ექსპერტი ბატონი ნიკოლოზ სილაგაძე:

ბატონო ნიკო, ალბათ დაგვეთანხმებით, რომ სამოქალაქო განათლების, როგორც დისციპლინის როლი და მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებაში დღითიდღე იზრდება. უფრო მეტიც, ახლახან იგი ეროვნულ საგამოცდო საგნად აღიარეს და გაცხადდა, რომ წლევანდელ მისაღებ გამოცდებზე ჩაბარდება უკვე. თქვენ, როგორც ექსპერტი აღნიშნულ სფეროში, როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს და უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით სიახლის შესახებ?

გეთანხმებით, რომ ბოლო ხანებში სამოქალაქო განათლების მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა დამოკიდებულება. თუკი არცთუ შორეულ წარსულში იგი მეორეხარისხოვან საგნად ითვლებოდა, დღეს (დეკლარატიულ დონეზე მაინც) მის მნიშვნელობას ყველა

აღიარებს. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამოქალაქო განათლების გამოცდის დაწესება, რა თქმა უნდა, ამ საგნის პრესტიჟის ზრდის ერთ-ერთ გამოვლინებად შეგვიძლია ჩავთვალოთ. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს ინიციატივა (ვგულისხმობ გამოცდის დაწესებას) გარკვეულ რისკებსაც შეიცავს. საქმე ისაა, რომ საგამოცდო პროგრამის არსებობა ზოგჯერ (მაგალითად, ისტორიის სწავლების პროცესში) სკოლის პედაგოგებს დეკლარატიულ ცოდნაზე აქცენტის (თეორიულ მასალაზე) გადატანისკენ უბიძგებს. ჩვენს შემთხვევაში კი ეს ფრიად არასასურველი იქნება, რადგან სამოქალაქო განათლება სკოლაში ნამდვილად უინტერესო საგანია, თუკი იგი ცალკეული კანონებისა და თეორიული კონსტრუქციების დამახსოვრებასთანაა ასოცირებული. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ეს საფრთხე რეალურ გამოწვევად არ იქცევა. გვაიმედებს ის გარემოება, რომ დღეს საუბარია სამოქალაქო განათლების გამოცდის ერთიანი ეროვნული გამოცდების და არა სკოლის საატესტატო გამოცდების სახით დაწესებაზე; ამასთან, ჩვენთვის ცნობილია, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტები აცნობიერებენ ზემოთ ნახსენებ საფრთხეს და თავიდან მის ასაცილებლად ყველაფერს გააკეთებენ.

საზოგადოებაში არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ სამოქალაქო განათლების ცალკე საგნად სწავლება სულაც არ არის სავალდებულო, რადგან აქტიური მოქალაქეობრივი თვითშეგნების და უნარ-ჩვევების გამომუშავებას პედაგოგიური საქმიანობის პროცესში სხვა საგნების მასწავლებლებიც კარგად ახერხებენ. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს?

ეს ფრიად საინტერესო შეკითხვაა. მე, ნაწილობრივ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც თვლიან, რომ სამოქალაქო განათლება დამოუკიდებელი საგნის სახით არ უნდა ისწავლებოდეს, თუმცა მათ არ ვეთანხმები. ცხადია, სამოქალაქო და სოციალურ კომპეტენციებზე მუშაობა ყველა სასკოლო დისციპლინის ფარგლებში უნდა ხდებოდეს; მით უფრო, რომ ეს მოთხოვნა არის კიდეც ჩადებული 2011 – 2016 წლების სასწავლო გეგმაში, თუმცა, ფაქტია, რომ პრაქტიკაში ეს პროცესი ძალიან მძიმედ მიმდინარეობს. სამოქალაქო განათლების თემების ინტეგრირება პედაგოგებს დღეს ისტორიისა და გეოგრაფიის მსგავს მომიჯნავე საგნებშიც ძალიან უჭირთ, რომ არაფერი ვთქვათ არაჰუმანიტარულ საგნებზე. ასეთ პირობებში კი მოსწავლის სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარების საკითხში, მხოლოდ გამჭოლი კომპეტენციის იმედად ყოფნა, რა თქმა უნდა, მიამიტობა იქნება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემაში სამოქალაქო განათლება დამოუკიდებელი საგნის სახით ისწავლება.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ დღეს სამოქალაქო განათლების დამოუკიდებელი საგნის სახით სწავლება სასიცოცხლოდ აუცილებელია. სწორედ ამიტომ 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის ფარგლებში დაგეგმილია საათობრივ ბადეში მისი ხვედრითი წილის გაზრდა.

როგორ შეაფასებთ წარმატებით დასრულებული „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ და ახლახან დაწყებული „მომავლის თაობის“ როლს სამოქალაქო განათლების, როგორც საგნის მნიშვნელობის და პრესტიჟის ამაღლებაში და რას უსურვებთ ახალ პროექტს?

პროექტ „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ შესახებ მხოლოდ ძალიან თბილი სიტყვები შემიძლია ვთქვა. შეიძლება ითქვას, რომ მის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა (სასკოლო სამოქალაქო კლუბების დაარსება, კონკურსები, კონფერენციები, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ჩამოყალიბება და ა.შ.) მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესს. ამ პროექტში ჩართულ პედაგოგებთან უბრალო გასაუბრებაც კი საკმარისია საიმისოდ, რათა დარწმუნდე, თუ როგორ გაიზარდნენ ისინი ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა იმის ნახვა, თუ როგორ ესწრაფვიან მასწავლებლები სხვებისთვის საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარებას. კიდევ უფრო კარგია ის, რომ პროექტ „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“

ფარგლებში სკოლის მოსწავლეებმა განახორციელეს უამრავი პროექტი, რომლებშიც თავი აქტიურ, პასუხისმგებლობიან მოქალაქეებად წარმოაჩინეს.

მიხარია, რომ ამ პროექტის ფარგლებში დაწყებული საქმეები ახალი პროექტის – „მომავლის თაობის“ სახით გრძელდება. ვფიქრობ, გამოცდილება, რომელიც სამოქალაქო განათლების სწავლების განვითარების კუთხით PH International-სა და USAID-ს დაუგროვდა, ახალ პროექტს კიდევ უფრო მასშტაბურსა და მრავალფეროვანს გახდის.

პროფესიული ჯილდო სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული მონაპოვარი, რომელიც სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის განსაკუთრებულ სტიმულად იქცა და **„სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“** ფარგლებში კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა, **„სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგის“** ჯილდოა. იგი ყოველწლიურად გადაეცემოდა პროგრამის მონაწილე თერთმეტივე რეგიონიდან თითო პედაგოგს, რომელიც სასწავლო წლის მანძილზე აქტიურობითა და პროფესიული ზრდის, თვითგანვითარების შედეგებით გამოიჩენდა თავს. კონკურსის მონაწილეთა შორის საუკეთესოს სპეციალურად შერჩეული, სამოქალაქო განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტებისა და პრაქტიკოსების დამოუკიდებელი ჟიური ავლენდა. პრიზის გადაცემა საზეიმოდ ხდებოდა ყოველწლიურ ეროვნულ კონფერენციაზე და ეს იყო ყველაზე ამაღელვებელი, ემოციური, სამახსოვრო წუთები არა მხოლოდ კონკურსის მონაწილეებისთვის, არამედ კონფერენციის ორგანიზატორებისა და დამსწრეებისთვისაც. საუკეთესო პედაგოგის გარდა კონკურსი სხვა ნომინაციებსაც ითვალისწინებდა: **„რეგიონის წარმატებული პედაგოგი“, „სასკოლო სამოქალაქო კლუბის საუკეთესო მეურვე“** და რამდენიმე სპეციალური პრიზი, რომლებიც განსაკუთრებული დამსახურებისთვის გაიცემოდა. ეს საპატიო და საამაყო პროფესიული ტიტულები პროგრამის მონაწილე არაერთმა პედაგოგმა მოიპოვა და მათ პროფესიულ ცხოვრებაში გამორჩეულ წარმატებად და აღიარებად იქცა.

ამ შესანიშნავ და კეთილ ტრადიციას ამჯერადაც ახალი პროგრამა აგრძელებს. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც „მომავლის თაობის“, ისე „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ მონაწილე პედაგოგებს. განაცხადების მიღება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მსურველებს ვთხოვთ დროულად შეავსონ იგი და გადმოაგზავნონ მითითებულ მისამართზე. კონკურსის პირობების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ქვემოთ გთავაზობთ.

წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო პედაგოგებო!

წლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის ჯილდო

საქართველოს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი აჯილდოვებს სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგებს. ჯილდო ფორუმის წლიურ ეროვნულ კონფერენციაზე, 2015 წლის 16 მაისს გაიცემა.

ღონისძიება იმართება პროგრამა **„მომავლის თაობის“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ჯილდოს სახით გამარჯვებულ პედაგოგს ფორუმი გადასცემს მადლობის სიგელსა და ფორუმის ლოგოს გამოსახულებით სპეციალურად დამზადებულ სახელობით პრიზს წარწერით „სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგი – 2014“.

2014 წლის საუკეთესო პედაგოგები გამოვლინდებიან საქართველოს 11 რეგიონში: კახეთი, თბილისი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი, გურია, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი და მცხეთა-მთიანეთი.

გამარჯვებულებს დამოუკიდებელი ჟიური გამოავლენს.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი ჩამოყალიბდა **„სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების“ პროგრამის** (ACETT) ფარგლებში. პროგრამა განახორციელა ორგანიზაცია PH International კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან პარტნიორობით და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ფორუმი სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიული ქსელია, ის ასევე ღიაა სამოქალაქო განათლების საკითხებით დაინტერესებული სხვა პედაგოგებისათვის და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის. ფორუმის მთავარი მიზანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების გაუმჯობესებისათვის მასწავლებელთა მონაწილეობის წახალისებაა.

დაჯილდოება ის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც მიზნად ისახავს პედაგოგთა წახალისებას და პროფესიული განვითარებისათვის მათ სტიმულირებას. ამასთანავე დაჯილდოების მიზანია სამოქალაქო განათლების საგანის წარმოჩენა მისი პოპულარიზებისათვის.

დაჯილდოების პროცედურა

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია 2015 წლის 20 თებერვლამდე. განაცხადის ფორმა მოწოდებული უნდა იყოს ელექტრონული სახით შემდეგი ელ-ფოსტის მისამართზე: civics@ctc.org.ge.

შესაძლებელია განაცხადის ფორმის ასევე პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვისაც მიწოდებაც (იხ.: თანდართული ჩამონათვალი).

სააპლიკაციო ფორმა შევსებული უნდა იყოს ზედმიწევნით. აქვე მითითებულ უნდა იყოს სულ მცირე ორი რეკომენდატორი პირი.

შეფასების კრიტერიუმები

დაჯილდოებისას ფასდება მხოლოდ 2014 კალენდარული წლის მანძილზე გაწეული საქმიანობა, კერძოდ:

- პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით გაწეული საქმიანობა;
- პედაგოგის მიერ **„სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების“** ან **„მომავლის თაობის“** პროგრამის ფარგლებში შექმნილი დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, სკოლაში სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით;
- სკოლის ბაზაზე სამოქალაქო კლუბის განვითარებისათვის გაწეული ძალისხმევა და კლუბის მუშაობის შედეგები;
- პედაგოგის ხელშეწყობით მოსწავლეთა ინიციატივები, აქციები და სასწავლო პროექტები.

მოგიწოდებთ აქტიურობისაკენ და გისურვებთ წარმატებებს!

საკონტაქტო ინფორმაცია

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი
ბექა ურუშაძე | ქეთი ქობულაშვილი

ტელ.: (577) 980884 | (577) 980883
ელ-ფოსტა: civics@ctc.org.ge
მისამართი: ქ. თბილისი, 0186, ოთარ ჩხეიძის 5
(ყოფილი: ალ. ყაზბეგის გამზ. 34, ნაკვეთი 3)

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები, გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მისამართზე:

თბილისი, კოსტავას ქ, 27
ტელეფონი: 790 37 17 77
ელ-ფოსტა: **info@ctf.org.ge**
www.Ctf.org.ge

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: შოთა კოსოვი

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადდა **ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა** და **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ ბიულეტენში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება **სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს** და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

თბილისი 2015 © CTF